წელიწადი პირველი.

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ხუთშაბათი, 10 მარტი, 1921 წ.

№ 8 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თფილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 8

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია კრუზენშტეინის ქუჩაზე № 3. ტელეფონი №№ 14—76; 7—41. ც. კ. წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებებს სასწრაფოთ აცნობონ მას თავიანთი მისამართი და ტელეფონის №№.

10 მარტს, საღამოს 5 საათზე, ყოფილ ქალაქის თვითმართველობის დარბაზში

შესდგება კრება

პასუხისმგებელ წევრთა: ცეკასი, რევკომის, ტეკასი, გორრევკომის, სარედაქციო კოლეგიის, პარტიიდან პროვინციაში პასუხისმგებელ მომუშავეთა, რაიონებიდან—ცეკას სიებით, პროფესიონალურ კავშირების გამგეობის წევრთა, მუშათა ცენტრის სიებით, და კომ. ახალგაზრდობის კავშირის პასუხისმგებელ მუშაკთა.

მოსალოდნელი ავანტიურის წინააღმდეგ

მენშევიკური საქართველო მაგარი ბუფერი იყო რევოლიუციონურ საბჭოთა რუსეთისა და, ანტანტის წინააღმდეგ მებრძოლ, ოსმალეთის (ანატოლიის) შორის ამიერთული დაშნაკელთა სომხეთის დაღუპვის შემდეგ, ანტანტის და კერძოთ [illegible] კავკასიაში—ამ აზიის და ევროპის შემაერთებელ ყელში—დარჩა მხოლოდ მენშევიკური საქართველო. ამ უკანასკნელით ევროპის გამარჯვებული იმპერიალიზმი ერთის მხრივ იცავდა ოსმალეთის რეაქციას (სტამბოლის მთავრობას) სოციალისტური რუსეთისაგან, რომლის უშუალო შეერთება ანატოლიის ნაციონალურ მოძრაობასთან იქნებოდა ოსმალეთის რეაქციის ბოლო და, მაშასადამე, წინა აზიაში ანტანტის ბატონობის ბოლო. ამით ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმი კარგავდა თავის მოქმედებაში გერმანიის იმპერიალიზმზე გამარჯვების ერთს უდიდეს ნაყოფთაგანს, თავი რომ დავანებოთ, სხვა მოსალოდნელ, ანტანტისათვის არა ხელსაყრელ შედეგებს (მაგ. რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერება მესოპოტამია, არაბეთ, ინდოეთში და სხ.) მეორე მხრივ, მენშევიკურ საქართველოს წყალობით ანტანტა ფიქრობდა, რამდენათაც კი ეს მოსახერხებელი იქნებოდა, რუსეთის რევოლიუციის, კერძოდ და უმთავრესად ბაქოს, წინააღმდეგ აქტიური ნაბიჯების გადადგმას. გადამეტებული არ იქნება თუ ვსთქვათ, რომ იმ როლს, რომელსაც პროლეტარული რუსეთისათვის—აღმოსავლეთში რევოლიუციონური ცეცხლის დანთების საქმეში ასრულებდა წითელი ბაქო, აი ასეთივე მნიშვნელობის როლს იმპერიალისტურ ანტანტისათვის — ნავთით მდიდარ საბჭოთა აზერბეიჯანის რეაქციონურ ორბიტაში მოქცევის საქმეში — ასრულებდა მენშევიკების თბილისი. აქ, თბილისში, ინასკვებოდა ინგლის-საფრანგეთის, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული, რეაქციონურ-აგრესიული ზრახვათა ძაფები. აი ამიტომაც საქართველოში სოციალისტური გადატრიალება მეხსავით დაატყდა ევროპის იმპერიალიზმს.

მიშალა უკანასკნელი, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ამართული მენშევიკური ბუფერი, იმპერიალიზმის დამცველი და დასაყრდენი პუნქტი. აი ამიტომაც გასაკვირი არ იქნება, თუ ამ მომხდარ გადატრიალებით საგრძნობათ დაზიანებული და დაზარალებული ანტანტა — ყოველივე ზომებს მიმართავს, ყოველივე ინტრიგა-პროვოკაციას მოაწყობს, რათა წაგებული საქმე რამდენიმეთ მაინც გამოასწოროს. მას იმდენი შეძლება და ღონე არა აქვს, რომ პირდაპირ ბრძოლაში, თავისი საკუთარი ცოცხალი ძალებით შემოგვეჭრას, შეგვებრძოლოს. აღმოსავლეთის და სპარსეთის მაგალითი საფრანგეთის და ინგლისის [illegible] გაკვეთილია; ამას ისინი არ დაივიწყებენ. უშუალო ფრონტით თავისი ცოცხალი ძალებით დაპყრობით იმპერიალიზმი პროლეტარულ რუსეთს ვერ გაუმართავს. ეს უკვე დამტკიცებული და დადასტურებული ჭეშმარიტებაა. სამაგიეროთ ანტანტა ცდილობს სხვა გზებით მიაღწიოს საქმეს: ყველაზედ უფრო ხელსაყრელი გზა კი მისთვის არის ნაციონალური შუღლის, ნაციონალური შეტაკების გამოწვევა. ის მოინდომებს გადაკიდოს გამარჯვებული მშრომელთა საქართველოს იმ ოლქის ხალხი, რომელიც მისთვის ამ ჟამად ყველაზედ უფრო საინტერესოა: ბათომის ოლქი, აჭარა. აჭარის აზნაურობა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ და ამით საქართველოსათვის შავ ზღვაზე გასავალი გზის—ბათომის—მოწყვეტა, ანტანტის მორიგი ამოცანა იქნება. იგი არ დაერიდება არავითარ საშუალებებს, რომ ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანოს; ბათომის ოლქი ქ. ბათომით რევოლიუციონურ საქართველოს მოგლიჯოს. თავის თავად ცხადია, რომ საქართველოს ახალი სოციალისტური მთავრობა შესაფერ ზომებს მიიღებს, რათა ასეთი რამ არ მოხდეს, რათა აჭარა ანტანტის ქსელში არ გაება, პროვოკაციის ანკესზე არ წამოეგოს. გუშინ ჩვენს გაზეთში მოთავსებულ ყველა ქვეყნისადმი რევკომის მიმართვა პროტესტით და ამ პროტესტში გამოთქმული აზრები და ბრძოლის საშუალებანი, თავდებია იმის, რომ ანტანტის იმპერიალიზმი აქაც ისე მოიტეხს კისერს, როგორც ეს მას არა ერთხელ დამართია საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ სამხედრო და დიპლომატიურ ბრძოლაში.

მოსალოდნელი მორიგი ავანტიურა, თუ კი იგი მართლაც რეალობად იქცა, ერთხელ კიდევ საქვეყნოდ გამოააშკარავებს ანტანტის ბოლშევიკთა-ჭამია პოლიტიკის სრულ უსუსურობას, უძლურობას და საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მასების ძლიერებას, ერთსულოვნებას.

და ეს კიდევ ერთი, საკმაოთ მოზრდილი ნაბიჯით დაუახლოვებს ანტანტას, მახლობელ ისტორიის მიერ გათხრილ სამარესთან.

მოკლე წერილები

1. ხელს მაინც ნუ შეგვიშლით!

ყველა, მტერიც და მოყვარეც, დაგვეთანხმება, რომ ის საქმე, რომლის განხორციელებისათვის ჩვენ, კომუნისტურ პარტიას მოგვიკიდია ხელი, მეტად მძიმე, პასუხსაგები და, ამავე დროს, გრანდიოზული, ჯერ არ ნახული საკაცობრიო საქმეა.

ასი და ათასი წლობით შექმნილი და გამაგრებული, კერძო საკუთრების ნიადაგზე დამკვიდრებული, საზოგადოებრივი წყობილება, თავისი კულტურულ-ფსიქოლოგიურ ზედნაშენებით—უნდა დანგრეულ, ან და რადიკალურად გადასხვაფერებულ იქნეს. ძველი საზოგადოებრივი შენობის ალაგას ახალი კომუნისტური შენობა უნდა აშენდეს. ასეთია დღევანდელი პროლეტარული რევოლიუციების შინაარსი და მათთვის ისტორიული აუცილებლობით დასახული საკაცობრიო მიზნები. ამ რევოლიუციების მეთაურობა და ხელმძღვანელობა კი წილად ხვდა საერთაშორისო მაშტაბში ერთად-ერთ, ნამდვილად პროლეტარულ, ნამდვილად რევოლიუციონურ (დღევანდელ ისტორიულ გარდატეხის შესაფერ) მშრომელთა კლასების პარტიას—კომუნისტურ პარტიას. ამ უკანასკნელის [illegible] კისერზე მთელი სიმძიმე და მთელი პასუხისმგებლობა გრანდიოზულ ამბების წინამძღოლობისა და ახალი ქვეყნისათვის საჭირო მიზნების განხორციელებისა. და ეს საზიდავი ტვირთი დღეს მით უფრო მძიმე და საპასუხსაგებოა, რომ პროლეტარული რევოლიუციები დღეს დღეობით მომხდარი ფაქტია მხოლოდ ზოგიერთ, იგიც, შედარებით ჩამორჩენილ, ქვეყნებში. პროლეტარულ რევოლიუციების ტვირთის მზიდავთა რიცხვში გამარჯვებული კომუნისტური პარტიების რაოდენობა ჯერ-ჯერობით ცოტაა: მოსისხლე მტერთა ბანაკი კი გაშმაგებული ებრძვის ახალი ქვეყნის მეთაურებს; ეს ბანაკი ჯერ კიდევ ფეხზე დგას, ჯერ კიდევ ძლიერია, სხვა რომ არა იყოს რა, თავისი ეკონომიური სიმდიდრით და კლასიური განვითარებით თავისი ინტერესების სწორათ შეგნებით. ამ მდგომარეობას ანგარიშის გაწევა უნდა და ეს კი გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ, კომუნისტურმა პარტიამ, მოვიქცეთ მეტად ფრთხილად—სადაც ეს საჭიროა, და მეტად გაბედულათ, დაუზოგავათ, სადაც ამას მდგომარეობა და მომენტი მოითხოვს. კერძოთ საქართველოს სინამდვილე ჩვენგან გვკარნახებს ფრიად ფრთხილ, მოქნილ არსებულ ცხოვრების პირობებთან შეფარდებულ სამოქმედო ტაქტიკას. და ასეთიც არის ჩვენი პარტიის და ჩვენი ახალი მთავრობის პირველი ნაბიჯები ჩვენი მიზანია—ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობას—რაც შეიძლება მეტი ფართო და მტკიცე, საზოგადოების ცოცხალი ძალების ბაზა აღმოუჩინოთ. საქართველოს თავისებურ სინამდვილეს შეუძლია ჩვენი სახელმწიფოებრივი მუშაობის გარშემო შემოკრიბოს, ჩვენივე პარტიის მეთაურობით, ჩვენი საზოგადოების მშრომელთა ფართო მასები. მაგრამ ჩვენ აქვე უნდა ვთქვათ გარკვეულათ და ყველას გასაგონათ: ქართველი საზოგადოების საკმაოდ მოზრდილი ნაწილი—გადაგვარებული და ისტორიას შემოხვევით შერჩენილი თავად-აზნაურობა, მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია, წვრილი ბურჟუაზიის მარჯვენა ფრთა, სამღვდელოება და ობივატელობის ნაწილი—ჩვენთან არ მოვა, ჩვენ მუშაობაში თავისი სურვილით არ ჩაებმება,—და ვერც ჩაებმება. ჯერ-ჯერობით, სანამდის რევოლიუციის ქარტეხილი არ მოსპობს, არ შეარყევს მათი კლასობრივ-ეკონომიური და, რამდენიმეთ, ტრადიციულ-ფსიქოლოგიურ დასაყრდენობ ბაზას—მანამ, მათთან ჩვენ საერთო შესახვედრ წერტილებს ვერ გამოვნახავთ. ისინი ჩვენი ბანაკის გარეთ დარჩებიან.

აი ამ, ჩვენს გარშემო შემოკრებილ საზოგადოებრივ ჯგუფთა, გარედ მდგომთა ბანაკში შესაძლოა დაიბადოს ჩვენ მუშაობაში ხელის შემშლელი მოძრაობა, როგორი სახისაც არ უნდა იყოს იგი. და რომ ეს არ მოხდეს—ცალი თვალი მათკენ უნდა გვეჭიროს. გარკვევით და გასაგებათ უნდა უთხრათ მათ: თქვენ არ გინდათ ჩვენთან მუშაობა, ჩვენი ტვირთის ზიდვა,—დეე, ასე იყოს! იდექით განზე, სანამ არ მოგწყინდებათ, ან და სანამ შექმნილ მდგომარეობას ალღოს ვერ აუღებთ, ძველი ქვეყანას სამუდამოთ არ მოსცილდებით. მაგრამ... ჩვენს მუშაობაში ხელს ნუ შეგვიშლით, ახალ დაბრკოლებებს ნუ გაგვიჩენთ. ჩვენი ტვირთი ისედაც მძიმეა, ჩვენი საქმე ისედაც ძნელია! **ხელს ნუ შეგვიშლით! აი ეს არის ჩვენი უკანასკნელი თხოვნა და პირველი გაფრთხილება მათ მიმართ, ვინაც ჩვენი მუშაობის გარეთ რჩება; ვისაც დღევანდელ ისტორიაში გარეშე მაყურებლის როლი აურჩევია.**

გ. ხახტაარი.

უკანასკნელი ოპერატიული ცნობა

მარტის 8.

ჩვენმა ნაწილებმა 8 მარტს, 17 ს. დაიკავეს ქ. ახალ-ციხე. გარნიზონის ნაწილები, რიცხვით 212 ჯარის-კაცი, 4 ზარბაზნით და 1 ოფიცრით ტყვეთ ჩავიგდეთ. დატყვევებულთ ავყარეთ იარაღი. ქუთაისის მიმართულებით წითლებმა ბრძოლით აიღეს სად. მარელისი. დამატებითი ცნობების მიხედვით მიხაილოვის სადგურზე ჩვენ მიერ დაკავებულია 74 ცისტერნი, 2 სამგზავრო ვაგონი, 7 საბარგო ვაგონი, 5 დახურული ვაგონი, და ბევრი მაზუთი და ქვანახშირი.

ტფილისი, 7 მარტი, 1921 წ. თოვლით დაფარულ მთის ბილიკებზე გმირულ გადასვლით, წითელი ლაშქრის მამაცმა ნაწილებმა დაიკავეს სურამის ულელტეხილი. გაიარეს ბნელი გვირაბი და დაიკავეს რა მის გამოსავალი, ლაშქრის ნაწილები ავიდნენ დაქანებულ თოვლიან ფერდობებზე, გაუჩინეს მოწინააღმდეგეს ჯვარედინი ცეცხლი და აიძულეს ის შიშით უკან დაეხია, რასაც შედეგათ მოჰყვა წითელ ნაწილების მიერ 20 საათ. 50 წუთს სოფლის და შემდეგ სადგურ წიფას დაპყრობა. აღფრთოვანებულ და გაძნევებულმა წითელ ჯარების მოახლოვებით ქალ. ბორჯომის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა—სამხერხაოს, მინის ქარხნის და საგზაო სახელოსნოების მუშებმა—ჩამოაგდეს ბურჟუაზიულ-მენშევიკური მთავრობა და, შეადგინეს რა რევოლიუციონური კომიტეტი, სად. სურამისათვის წარმოგზავნეს დელეგაცია თავის განმათავისუფლებელთა მისასალმებლათ.

მოწინააღმდეგე შიშით უკან იხევს და უიმედოთ სცდილობს თავის ნაწილების გამაგრებას სრულ დაშლისაგან. ზეგავლენის მოსახდენათ მიღებულია სასტიკი ზომები ჯარისკაცთა წინააღმდეგ, რომლებიც უარს ამბობენ წითელ ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლაზე. 3 მარტს ქართველ სარდლობის მიერ სურამში დახვრეტილ იქნა 26 ქართველი ჯარისკაცი წითელ ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარისთვის, ასეთი მკაცრი ზომებიც არავითარ დადებით შედეგებს არ იძლევა.

საუბარი ამხ. ორჯონიკიძესთან

კავკასიის ფრონტის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს და კომ. პარტიის ც. კ—ს წევრმა ამხ. ორჯონიკიძემ გრუზროსტას თანამშრომელს შემდეგი განუცხადა:

მდგომარეობა ფრონტზე.

მენშევიკური ლაშქარი არ არსებობს. ის [illegible] წამოვიდა თავიანთ სახლებში, ხოლო დარჩენილი მცირედი ნაწილები ვერ უძლებენ წითელ არმიის მედგარ წინსვლას. კონკრეტიულათ მდგომარეობა სხვა და სხვა ოპერატიულ მიმართულებით ასეთია:

ბათომის მიმართულება.

წითელ არმიის ნაწილებმა დაიკავეს სურამის ულელტეხილი, სადგურები წიფა და მოლითი, ულელტეხილის გადაღმა. სურამის ულელტეხილი წარმოადგენს ბუნებრივათ ძლიერ გამაგრებულ პოზიციას, რომელიც ამ ჟამად დაფარულია ალაგ ნახევრიანი თოვლით, ჩვენს ნაწილებს ქედის აღება მოუხდა უზარბაზნოთ და უტყვიამფრქვევლებოთ, ვინაიდან მათი ქედზე ატანა შეუძლებელი იყო.

ახალციხის მიმართულება.

საღამოს მარტის 7 მიღებულია ცნობები, რომ ჩვენმა ცხენოსანმა ნაწილებმა მიაღწიეს ბორჯომს, სადაც მათ არ დახვედრიათ არავითარი მენშევიკური ჯარები.

ქუთაისის მიმართულება.

წითელმა არმიამ განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინა: თებერვლის 25 ერთ მთავარ ნაწილებთაგანმა გადალახა მამისონის ულელტეხილი, რომელიც დაფარული იყო საჟენ ნახევრიანი თოვლით. 20 ვერსის მანძილზე მათ მოუხდათ ამ თოვლზე სიარული. ულელტეხილზე გადასულმა წითელ ლაშქრის ნაწილმა თითქმის უბრძოლველად აიღო ონი; მენშევიკური მთავრობის ჯარი კი გაიქცა საჩხერის მიმართულებით: ამ ჟამათ ჩვენი ჯარი უახლოვდება საჩხერეს და ქუთაისს.

ფოთის მიმართულება.

სოხუმის ოლქში ბრძოლის ოპერაციები ჩვეულებრივ გამარჯვებით მიმდინარეობს. წითელი არმია შავი ზღვის ნაპირებზე წინ მოიწევს. სოხუმი დაკავებულ იქმნა უბრძოლველათ. ამ ჟამათ იერიში მიტანილია მდ. კოდორზე და წითელ არმიის ნაწილები მდ. ინგურს უახლოვდებიან.

მცხოვრებთა განწყობილება ჯარებისადმი

მთელი აღმოსავლეთი საქართველო გაწმენდილია მენშევიკურ ჯარებისაგან, გლეხების განწყობილება ჯარებისადმი ამართლებს ყველა ჩვენ მოსაზრებებს. გლეხობა ჩვენ [illegible] დახმარებას გვიწევს. [illegible] რევოლიუციონური კომიტეტები [illegible] სიხარულით [illegible] წითელ არმია[illegible] [illegible]

ბა აქტივრებს მენშევიკებს და გზავნის რევოლუციონურ კომიტეტში და წითელ ლაშქრის ნაწილებში. მაგალითად თიანეთის მაზრაში დადის ცხენოსანთა რაზმი, რიცხვით 40 კაცი, ამ რაზმმა მოაწყო ზარბაზანის, 9 ტყვიისმფრქვევლის და ათასი თოფის ხელში ჩაგდება. დუშეთის მაზრაზე ლაპარაკიც არ შეიძლება; აქ პირველ გაგებისთანავე წითელ არმიის წინსვლის შესახებ მთელი მაზრა დაიკავეს აჯანყებულებმა. გუშინ, (მარტის 7) ბორჯომის რაიონიდან ჩამოვიდა დელეგაცია სუმბათოვში და გვაცნობა, რომ ბორჯომში არ არის არავითარი ჯარი, დაარსებულია რევოლიუციონური კომიტეტი და ითხოვენ გავუგზავნოთ წითელი ლაშქრის ნაწილები. ასეთივე ცნობები მივიღეთ ახალქალაქიდან. აფხაზეთზე ლაპარაკიც ზედმეტია. იქ დაარსდა აფხაზეთის რევოლიუციონური კომიტეტი და ერთიანად აჯანყებულმა მცხოვრებლებმა დაარსეს თავიანთი მოხალისეთა წითელი რაზმები, რომლებმაც ზურგიდან შეუტიეს მენშევიკებს. სამურზაყანოში და სამეგრელოში წითელ ლაშქრის წინსვლას მცხოვრებლები დიდი აღფრთოვანებით ხვდებიან.

რას იმედი აქვთ მენშევიკებს.

რასაკვირველია, —ანტანტის. გუშინ ჩვენ ტრაპიზუნდიდან მივიღეთ ცნობა, რომ უცხო სახელმწიფოების მისიები თფილისიდან გაემგზავრენ არა ქუთაისს, არამედ ბათუმს, სადაც ისინი ფიქრობენ დარჩენას იმ შემთხვევაში, თუ ანტანტა დაეხმარება მენშევიკებს. ყველაზე უფრო მოუთმენელი გამოდგა საფრანგეთის მისია და მან უკვე დასტოვა ბათომი და სტამბოლში გაემგზავრა. ეს იმას ნიშნავს, რომ ანტანტა ამ შემთხვევაშიც თავის თავს არ უღალატებს. მიუხედავათ ყოველნაირ ყვირილისა და ბლიარებისა, მას არ შეუძლიან აღმოუჩინოს მენშევიკურ მთავრობას რაიმე რეალური დახმარება.

მენშევიკებისთვის ისიც კაი საქმეა, თუ ანტანტამ გამოუგზავნა ერთი ნაწილი შავკანიანი ჯარისა ანუ ვრანგელის ჯარი, მაგრამ ამას არავითარი არც ძალა და არც მნიშვნელობა არ ექნება.

რათ მოვედით საქართველოში.

პირველი—აქ მოვიდნენ არა დამპყრობელნი. საქართველოში აღიარებულ იქნა დამოუკიდებელი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ქართულ რევკომის მეთაურობით. რაც შეეხება საქართველოს მუშათა და გლეხთა დახმარებას წითელი არმიის მხრივ, ეს ჩვენ სრულიათ ბუნებრივათ მიგვაჩნია. აქ არ იქნება ურიგო გავიხსენოთ, რომ მენშევიკების მთავრობას არა ერთხელ მიუმართავს დახმარებისათვის და მოუწვევია არა ერთი უცხოელი ჯარი. სამი წლის განმავლობაში საქართველოში იყვნენ გერმანელები, ოსმალები, ინგლისელები, ფრანგები, იტალიელები. ყველა ამათ ნოე ჟორდანია და რამიშვილის მთავრობა ეგებებოდა დიდის პატივისცემით და ზეიმით. მაშასადამე ამ შემთხვევაში არა ითქმის რა უცხოელ ჯარის საქმეში ჩარევის შესახებ. ხოლო უწინ მენშევიკები ეძიებდნენ და პოულობდნენ დახმარებას ჩრდილო ევროპის იმპერიალისტების მხრივ, იმ იმპერიალისტთა ჯარის მხრივ, ვისიც მონა-მოსამსახურენი იყვნენ მენშევიკები, და ამ ჟამათ საქართველოს კომუნისტებმა ჰპოვეს შველა და დახმარება რუსეთის მუშა-გლეხის ჯარისაგან, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული მხოლოდ განთავისუფლება საქართველოს მუშა გლეხთა და შექმნა ნამდვილ დამოუკიდებელ მუშა გლეხურ საქართველოსი და არა ანტანტის ბრჭყალებში მყოფ საქართველოსი.

მოსკოვის აზრი საქართველოში მომხდარ ამბების შესახებ.

მე სრულიათ გადაჭრით უნდა ვსთქვა რომ მოსკოვი ყოველთვის წინააღმდეგი იყო რაიმე კონფლიქტებისა საქართველოსთან. უფრო მეტი: რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. კიროვის შეცვლა ამხ. შეიმანით საქართველოში აშკარა დემონსტრაცია იყო, უნდა ჩამოგვეცალა, გაგვეწია საქართველოსათვის რეალური დახმარება. აქეთ იყო გამიზნული მარშრუტები ნავთით. ხოლო ამხ. შეიმანმა აღძრა საკითხი საქართველოსათვის ფინანსიური დახმარების შესახებ ოქროთი...

მაშ რომ გამოიწვია მაინც წითელი ჯარების წამოსვლა ქ. თფილისზე. არავისთვის საიდუმლოს არ შეადგენს, რა განწყობილება ჰქონდა ყუბანის კონტრ-რევოლუციას ქართველ მენშევიკებთან. ეს სულიერი ალიანსი დაიბადა ჯერ ისევ 1918 წელს გავიხსენოთ გენერალ მაზნიევის მოძრაობა მოხალისეთა ოფიცრებით სოჭი—ტუაპსის რაიონში; გავიხსენოთ შესანიშნავი სიტყვები ყოფილ მინისტრის გეგეჭკორის წარმოთქმული ეკატერინოდარის კონფერენციაზე გენერალ ალექსეევთან და ყუბანის რადასთან 1918 წელს,—რომ „მენშევიკები ურტყავენ ერთ წერტილში ალექსეევთან“, ისე იგი ბოლშევიკებს; გავიხსენოთ აგრეთვე დახმარება ყუბანისა და თერგის კონტრ-რევოლიუციონერებისა საქართველოსკენ და როგორ მიიღეს იგინი მენშევიკებმა: გავიხსენოთ სრულიად ლეგალური არსებობა ყოველგვარ „დახსნისა“—და განთავისუფლების კომიტეტების: სომხეთისა, აზერბეიჯანისა, ყუბანისა, თერგისა, ეგრეთ წოდებული მთიელთა მთავრობა მისი დამქაშით ახმედ ცალიკოვით: გავიხსენოთ უკანასკნელი ამბები დაღესტანში—აჯანყება, გამოწვეული ინგლის-საფრანგეთის ოქროთი შამილის შვილიშვილის მიერ, რომელიც გაემგზავრა თფილისიდან ლაგოდეხში: გავიხსენოთ შესანიშნავი ლაგოდეხის შტაბი, დაარსებული დაღესტანში აჯანყებისათვის. დასასრულ გავიხსენოთ ცნობილი მოწოდება „ყუბანისა და თერგის განთავისუფლებისა“, კომიტეტისაგან გამოცემული თფილისში მენშევიკების მთავრობის უკანასკნელ დღეებში, რამაც ცხადი შეიქნება რას წარმოადგენდა მენშევიკური თფილისი და მენშევიკური საქართველო ყველა კონტრ-რევოლიუციონერებისათვის. საქართველო იყო ტყვე ანტანტისა, იყო გარდაქმნილი მთლათ კონტრ-რევოლიუციის ბაზათ კავკასიაში საბჭოთა მთავრობის ასაფეთქებლათ.

ასეთმა მდგომარეობამ ჩვენ, კავკასიის კომუნისტები, დაგვარწმუნა, რომ უცილებლათ საჭიროა საქართველოს გარდაქმნა საბჭოთა საქართველოთ, რათა უზრუნველ იქნას არსებობა კავკასიის მრავალმილიონ მცხოვრებთა მასსებისა. მით უმეტეს, რომ ეს სრულიად ეთანხმება ქართველ კომუნისტთა მისწრაფებას, რომელთაც მიზნათ აქვთ დასახული მოსპობა საქართველოში ბურჟუაზიულ წეს-წყობილების, რადიკალური გადაწყვეტა სხვადასხვა საჭირო საკითხისა, გადაცემა მთელი მიწისა გლეხებისათვის.

საქართველოში ასე მოხდა ეს ამბები: ლორის გლეხობა აჯანყდა მენშევიკების საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ 3—4 დღის განმავლობაში არა თუ ნეიტრალური ზონა, არამედ ბორჩალოს მთელი მაზრა განთავისუფლებულ იქნა მენშევიკების ჯარისაგან.

მაგრამ ნოე ჟორდანიას მთავრობამ, მიუხედავათ ამხ. შეიმანისა და ამხ. ჩიჩერინის წინადადების გადაწყვეტილი ყოფილიყო დავა სომხეთთან ნეიტრალური ზონის შესახებ საბჭოთა რუსეთის შუამავლობით გადაწყვიტა ბოლო მოეღო აჯანყებულთათვის ცეცხლითა და მახვილით

აშკარაა, რასაკვირველია, რომ გვერდით მდგომ წითელ არმიას არ შეეძლო გულცივად ეცქირნა, თუ როგორ დახვრეტავდნენ მენშევიკები საბჭოთა ძალა-უფლებისათვის აჯანყებულ გლეხებს, ცეცხლის ალში გახვეული სოფლები ვორონცოვკა და პრივოლნოე შეიქნენ იმ სიგნალად, რომელიც წითელ არმიას მოუწოდებდა აჯანყებულთა საშველად..

ნოე ჟორდანია ერთ თავის უკანასკნელ სიტყვაში დამფუძნებელ კრებაში გაურისხდა სომხებს და ჯვაროსნულ ომისათვის მოუწოდებდა მათ წინააღმდეგ, მაგრამ იგივე ნოე ჟორდანია და მინისტრი საბახტარიშვილი ქათინაურებს უგზავნიდნენ, მიესალმებოდნენ დაშნაკელ ვრაცანს, რომელიც სათავეში ჩაუდგა ეგრეთ წოდებულ სამშობლოს გადარჩენის კომიტეტს ერევანში; ჟორდანიამ სთხოვა მას ზურგიდან შემოეტია ბოლშევიკებისათვის. ხოლო ვრაციანი პირველ თავის მიმართვაში, რომელშიაც იგი მენშევიკებს თავიანთ ძმობას აცნობებდა, სთხოვდა ტანსაცმელს და სურსათს. ამნაირად ჟორდანიასთვის ყველა სომეხი ერთი არაა. საბჭოთა სომხეთი ჟორდანიასთვის მიუღებელია და იგი ბლოკადას უცხადებს მას, არ უშვებს პურით დატვირთულ ვაგონებს; დეე შიმშილისაგან დაიხოცნენ ბავშვები, ეს მას არ შეაწუხებს, ხოლო ვრაცანის სომხეთი, სომხეთი დაშნაკელების, ჟორდანიასთვის მოკავშირეა.

აი მოკლედ ყველა ის მიზეზები, რომელთაც საქართველოში ეს ამბები გამოიწვიეს.

ტყუილად [illegible] მენშევიკები [illegible] მისი დამოუკიდებლობის და თვით არსებობის მოსპობაზე. ჭეშმარიტად არავის განუზრახავს და არც ფიქრობს ქართველ მუშების და მასსების დამოუკიდებლობას დაემუქროს ყოველ მიზეზის გარეშე და გადაჭრით ჩვენ ვიცავთ მუშათა და გლეხთა დამოუკიდებელ საქართველოს. არას დროს საქართველოს არ ჰქონია ასეთი შეძლებლობა ნაციონალურ ძალების და კულტურის განვითარებისა როგორც ეხლა. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მუშათა და გლეხთა რუსეთი არავითარ კოლონიზატორულ მიზნებს არ ისახავდა და არ ისახავს არც საქართველოში და არც სხვაგან სადმე.

დავასკვნი: წითელი ლაშქარი მოვიდა აქ, რომ 1) მოსპოს აქ კონტრ-რევოლიუციის ბუდე და სადგომი სახლი ყოველგვარ სახის თეთრგვარდიელთა მაწანწალებისა: 2) მოსპოს ბურჟუაზიის ძალა უფლება საქართველოში, რომელიც ხდიდა საქართველოს ანტანტის ბრმა იარაღად; 3) გადასცეს ყველა ფაბრიკა ქარხანა მუშებს; 4) მთელი მიწა გლეხებს გადასცეს; 5) ანტანტის მორჩილ საქართველოს მაგიერ სრული საშუალება მისცეს საქართველოს მუშებსა და გლეხებს შეჰქმნან მართლა დამოუკიდებელი და თავისუფალი მუშათა და გლეხთა საქართველო.

(დასასრული იქნება).

საბჭოთა რუსეთში

ჩვენი ვაჭრობა

მოსკოვი. (რადიო) ბლოკადის მოხსნის შემდეგ ჩვენ მოგვეცა საშუალება მოგვეხდინა სავაჭრო შეთანხმება ყველა ქვეყნების კომერსანტებთან, მაგრამ მაშინ, საქონლის ბლოკადის მაგიერ, თავი იჩინა რუსეთის ოქროს ბლოკადამ, რომელიც ამ ჟამამდის გრძელდება. ამისდა მიუხედავათ ჩვენ გადავდგით წინ დიდი ნაბიჯი: ეხლა ჩვენ თითქმის ყველგან გვყავს სავაჭრო აგენტები.

საზღვარ-გარეთ

ვრანგელის ლაშქრის ბედი.

მოსკოვი. (რადიო) ბრაზილიის მთავრობამ წინადადება მისცა ვრანგელს, უფასოდ გადაიყვანოს სამხრეთ ამერიკაში მისი ლაშქრის 10 000 ჯარისკაცი, ყავის ახალ პლანტაციებზე სამუშაოთ.

მდგომარეობა პოლონეთში.

მოსკოვი. (რადიო). როგორც ბერლინიდან იტყობინებიან, პოლონეთის კაბინეთი იმყოფება ახალ კრიზისის წინ. პრემიერ მინისტრს ვიტოსს გადაწყვეტილი აქვს სთხოვოს სეიმს ნდობის გამოცხადება. რკინის გზებზე გაფიცვა მთელ პოლონეთშია მოდებული, შემოღებულია სამხედრო ცენზურა.

ესპანეთი.

ლონდონი (რადიო). გენერალმა რი[illegible] 2600 [illegible] წირობით ჩამოაყენა საპყრობილის [illegible].

რესპუბლიკელები ირლანდიაში.

ლონდონი კორკიდან იუწყებიან, რომ კილტოლაში არეულობის გამო დაიწვა სამცხოვრებელი სახლი. [illegible]

პროლეტარული კულტურა

პროლეტართა წითელი დროშის ქვეშ

I.

ბურჟუაზია მარტო პოლიტიკურად და ეკონომიურად როდი იყო გაბატონებული პროლეტარიატზე. იგი მას (პროლეტარიატს) სულსაც არ ივიწყებდა, თავის კულტურის გავლენას უმორჩილებდა ეს კულტურა კი აგებული იყო „საღვთო“ კერძო საკუთრებისა და ექსპლოატაციის პრინციპზე.

დღეს, როდესაც პროლეტარიატმა ხელთ იგდო პოლიტიკურ ეკონომიური ცხოვრების მესაჭეობა, როდესაც შეუდგა ძველი ქვეყნის ახალ ნიადაგზე გარდაქმნას, საჭიროა აგრეთვე საკუთარ პროლეტარულ კულტურაზე ზრუნვა და სავსებით განთავისუფლება იმ ბურჟუაზიულ კულტურისაგან, რომლის გავლენამ ასე ძლიერად იჩინა თავი იმპერიალისტურ ომის დროს და რომელიც უფრო გაძლიერდება სოციალური რევოლიუციის შემდეგ იმდენად, რამდენადაც პირველ ხანებში პროლეტარიატს აუცილებლად დასჭირდება ბურჟუაზიულ დემოკრატიული ინტელიგენციის გამოყენება.

თუ დღემდე მუშათა კლასს არ ეცალა ამ დარგში მუშაობისათვის და სათანადო ყურადღებას არ აქცევდა, დღეის იქით იგი ამ სულიერ საზრდოზე ზრუნავს, სხვა საკითხებთან ერთად, ღირსეულ ადგილს მიაკუთვნებს და როგორც პოლიტიკურ-ეკონომიურ ბრძოლაში, ისე ამ სახალისო ჭიდილშიაც სრული გამარჯვებული გამოვა.

ამ მხრივ საბჭოთა რუსეთში დიდი ნაბიჯი გადადგა წინ.

ოქტომბრის რევოლიუციამდე იგი მხოლოდ თეორეტიულად ირკვეოდა, ახლა კი შექმნილია ე. წ. „პროლეტკულტ“-ის ცოცხალი მოქმედი ორგანიზაცია, რომელშიაც ირიცხება 300 000 [illegible] მუშა. ეს რიცხვი დღითი დღე იზრდება. სდგება ახალ-ახალი ორგანიზაციები და სხვა.

„პროლეტკულტ“-ს, როგორც სხვ სახეობას მუშათა მოძრაობისას, იმდენათ მეტი ძალა და მნიშვნელობა მიეცემა, რამდენადაც იგი გადიქცევა საერთაშორისო ორგანიზაციად. ამიტომ ყველა ქვეყნის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა ამ თავითვე უნდა შეუდგეს თავის საკუთარ „პროლეტკულტ“-ის მოწყობას.

II

ძველმა ბურჟუაზიულმა ქვეყანამ პროლეტარიატი გაზარდა თავის მეტოდებით, პრინციპებით, ცრუმორწმუნეობათა და განწყობილებათა ქსელში. თავის კლასობრივ გამოცდილებას, ორგანიზაციაში და დაწესებულებაში უმრავლეს შემთხვევაში პოლიტიკაში, მეცნიერებაში და ხელოვნებაში პროლეტარიატი ბურჟუაზიული კულტურის მეთოდებით სარგებლობს. პროლეტარიატი ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა თავის გრძნობათა და განცდათა სულიერ ცხოვრებაში ბურჟუაზიულ ფსიხოლოგიის ზეგავლენისაგან; ჯერ კიდევ მუშის ყოფა ცხოვრება დამაგრებულია ბურჟუაზიულ ცხოვრების ფესვებზე და აი ეს მთელი სულიერი მონობა ხელს უშლის ახალ ცხოვრების აღმშენებლებს თავისუფლათ და ფართოთ გამოიჩინონ თავისი რევოლიუციონური მისწრაფებანი მომავალ ცხოვრების აღმშენებლობაში.

პროლეტარიატი უნდა ჰქმნიდეს თავის კლასიურ, პროლეტარულ კულტურას, რომლის შემდეგ როდესაც დამყარდება რა კომუნისტური საზოგადოება, [illegible] კლასები, იგი გახდება საერთო, საკაცობრიო.

ახალი მოძრაობა თავის მიზნათ ისა[illegible]

ბა და ზომიერება პროლეტარულ კულტურის განსაზღვრებაში, რომლის ელემენტები ჩნდებიან სტიქიურათ ყველგან, სადაც კი აზრი და გრძნობა ვითარდება ან კულტურულ შრომის განწყობილებათა ნიადაგზე. პროლეტკულტი თავის მოქმედების გეგმას აშენებს ისე, რომ პროლეტარიატს შეეძლოს თავისი თავის აღზრდა ახალი ცოდნით, თავის გრძნობათა დარაზმვა ხელოვნების საშუალებით და თავის ყოფა ცხოვრების გარდაქმნა ჭეშმარიტ პროლეტარულ ნიადაგზე, ე. ი. ამხანაგურ შრომაზე.

რევოლიუციონურ-კულტურული მოძრაობის მიზანი განიყოფება ორ ნაწილათ.

პირველ ნაწილში ის მიისწრაფვის იქითკენ, რომ პროლეტარიატს მისცეს შესაძლებლობა გაეცნოს მთელ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც ძველი ქვეყნიდან გადმოვიდა მასზე. აქამდის პროლეტარიატი პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებით შებოჭილი იყო და ვერ სარგებლობდა ამ საგანძურიდან. არის კი ისეთი განძი, რომლითაც შეუძლია მას ისარგებლოს ახალ ცხოვრების აღმშენებლობაში. პირველ თაობათა გამარჯვებანი კულტურაში პროლეტარიატმა უნდა შეითვისოს არა როგორც გამგონე მოწაფემ, არამედ როგორც კრიტიკულათ გარდამუშავებული თავის კლასიურ მეცნიერებაში.

თავის მეორე ნაწილში ის განსაკუთრებით მიისწრაფვის კულტურულ სამოქმედო მუშაობისკენ, ე. ი. მეცნიერებისა და ხელოვნების გარდაქმნისაკენ (პოეზიისა, მხატვრობისა, მუსიკისა, თეატრისა და სხვა). ახალ პროლეტარულ, კოლექტიურ პრინციპზე აქამდის ყველა დარგში აუცილებლათ გამეფებულია პროლეტარულ გამოცდილებაზე ბურჟუაზიულათ გამომუშავებული მეთოდები აზროვნების; ეს უნდა [illegible] იქნეს. ამ ნიადაგზე მუშაობა დაიწყო კარლ მარქსმა, პროლეტარიატმა უნდა განაგრძოს იგი, გაავრცელოს ყველა ცოდნათა და ხელოვნების დარგებზე და გარეშე თანამშრომლობისა სხვა მშრომელ ელემენტებთან.

ამ მუშაობისათვის საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა პროლეტართა შორის არსებულ წვრილ-ბურჟუაზიულ ცრუმორწმუნეობათა გაქრობას, რათა მისი შემოქმედება არ იბოჭებოდეს მცხოვრებთა სხვა ჯგუფების გავლენით და რომ თავის განვითარების გზაზე ატარებდეს სრულ პროლეტარულ ხასიათს.

ამ საერთო მიზნებთან პროლეტკულტი აყენებს მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებში [illegible] პრობლემებს.

მეცნიერება — **განსაზოგადოებრივებულ შრომის ორგანიზაციის იარაღია.** ბატონურ კლასთა ხელში იგი ბატონობისა და ექსპლოატაციის იარაღათ იყო; პროლეტარიატის ხელში კი იგი უნდა გარდაიქცეს სოციალურ აღმშენებლობის ბუნებასთან ბრძოლის ძლევამოსილ იარაღათ. მთელი სამეცნიერო ძალა უნდა იყოს გადასინჯული არა მარტო ფაქტიური სისრულისა და სინამდვილის მხრივ, არამედ უმთავრესად გადამუშავების გაერთიანებული მეთოდით ისე, რომ კაცს შეეძლოს მთლიანი და ჰარმონიული მსოფლმხედველობის მიღება. მეცნიერული გამოკვლევა დასინჯული უნდა იყოს კოლექტიურ შრომის თვალსაზრისით, სისტემატიურათ ახსნილი და გაშუქებული პროლეტარულ აღმშენებლობის პრობლემათან შეფარდებით. პროლეტარული უნივერსიტეტების, სამეცნიერო კავშირების და ენციკლოპედიის საშუალებით, რომელშიც გამოქვეყნებული უნდა იყოს რაც შეიძლება მეტათ მწყობრათ, სრულეთ და ახალი მეთოდები და გარდაქმნ[illegible] მეცნიერების მიღწევანი პროლეტარულ თვალთაზრისით, ეს ცოდნა მიიღებს ფართე, მასიურ გავრცელებას.

თუ მეცნიერება „სიტყვიერის“ საშუალებით სოციალურ გამოცდილების ორგანიზაციას მოაწყობს,—მაშინ ხელოვნება იგივე გამოცდილების ორგანიზაციას მოაწყობს გრძნობათა და მისწრაფებათა სფეროში, ცოცხალ სახეობათა საშუალებით — სიტყვიერებათ, ბგერათა, მხატვრობათა, ქანდაკებათ და სხვა ფართე მშრომელ მასსებისთვის მისაღწევ შესაძლებლობის ფორმაში.

ხელოვნება ისე, როგორც მეცნიერება, უნდა იყოს არა მარტო საზოგადოების უმაღლეს წრეებისათვის, არამედ ყველასათვის. იგი უნდა ჩაითვალოს არა მარტო დასვენებისა და გართობის უბრალო საშუალებათ, მეცნიერებასთან თანაბრათ, **იგი არის კოლექტიურ ძალთა ორგანიზაციის იარაღი და ბუნებრივათაც იგი უნდა იყოს შრომის კოლექტივიზმის სულით გამსჭვალული.**

წინააღმდეგ ბურჟუაზიის გახრწნილ ხელოვნებისა, პროლეტარულ ხელოვნება პირველ რიგში აყენებს შინაარსს და არა ფორმას.

ერთი სიტყვით, „პროლეტკულტმა“ უნდა აღზარდოს წმინდა პროლეტარული მეცნიერები, პოეტები, კრიტიკოსები, პუბლიცისტები, მუსიკოსები, მხატვრები, მსახიობები, უნდა გამოიძებნოს ახალი ყოფა ცხოვრების ურთიერთობა და გამოიჩინოს პროლეტარული მორალი, რომელიც დაიბადა ბრძოლაში და კოლექტიურ შრომაში.

III

„პროლეტკულტ“ი არის პროლეტარიატის კულტურულ-შემოქმედებითი კლასიური ორგანიზაცია, როგორც მუშათა პარტია—მისი პოლიტიკური ორგანიზაცია და პროფესიონალური კავ[illegible]

სახლთან ჯარი 6 საბარგო ავტომობილით მოვიდა. სახლში მცხოვრებლებს 5 წუთის ვადა მისცეს საჭირო ნივთების გასატანათ, შემდეგ დარჩენილ ნივთებს ნავთი გადაასხეს და დასწვეს. დაწვის დროს მოაგროვეს ქალაქის 100 მცხოვრები, მოიყვანეს იმ სახლთან, რომელიც იწოდა და გააჩერეს, სანამ სახლი მთლად არ დაიწვა.

კორკიდან იუწყებიან, რომ მუნიციპალურ საბჭოების 9 წევრი, რომელიც ხელახლა იქნა არჩეული, დააპატიმრეს.

ინგლისის მუშები ეხმარებიან ირლანდიელებს.

პარიჟი. „ექსცელსიორის" ლონდონის კორესპონდენტის ცნობით, ინგლისელ შოფერებისა და მექანიკოსების ასოციაციამ საბოლოოდ გადაწყვიტა გამოაცხადოს საერთო გაფიცვა. ასოციაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი განცხადება გაუგზავნა ლოიდ-ჯორჯს: აღმასრულებელი კომიტეტი აღშფოთებით აღნიშნავს ქ. მალში (ირლანდია) მომხდარ სიმკაცრეს, რომლის მსხვერპლი შეიქმნა ასოციაციის ზოგი წევრი. ჩვენ მოითხოვთ ანკეტის დანიშვნას, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ასოციაციის წარმომადგენელნიც. თუ ეს ანკეტა არ იქნა ნებადართული და თუ არ იქნა მიცემული გარანტია ასოციაციის ირლანდიის წევრთა სიცოცხლის ხელშეუხებლობისა, ასოციაციის საბჭო გამოსცემს ბრძანებას საზოგადო გაფიცვის შესახებ. ლოიდ-ჯორჯი თავის მდივნის პირით იტყობინება, რომ ასოციაციის განცხადება გადაცემულია ირლანდიაში გადასასინჯავად. რაც შეეხება გაფიცვას, მისი მუქარა ვერ იმოქმედებს მთავრობაზე. გაიცნო რა ამ საქმეს, ასოციაციის მთავარ მდივანმა ბრომლეიმ განაცხადა, რომ გაფიცვას არ ექნება პოლიტიკური ხასიათი, არამედ ის გამოხატავს ბრძოლას არსებობისათვის.

იტალიის პრესა ინგლისის პოლიტიკის შესახებ

რომი. „პოპოლო რომანო" ინგლისის პოლიტიკის შესახებ სწერს: „ინგლისის პოლიტიკა ოსმალეთის მიმართ რაღაც მერყევია. ინგლისის პოლიტიკის მიზანი აღმოსავლეთში ერთია: გადაუღობოს გზა ინდოეთისკენ და სპარსეთის სრუტისკენ ყველა სახელმწიფოს, შექმნას აუცილებელი ბარიერი რუსეთსა და ხმელთა შუა ზღვის შორის და დაიჭიროს სუეცის არხი და დარდანელი.

რევოლუციონური მოძრაობა ესპანიაში.

პარიჟი. „კორკიდან" იუწყებიან, რომ სიცილიაში დაჭერილია 75 სინდიკალისტი, რომელთაც აბრალებენ სიცილიაში მომხდარ კომუნისტურ შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებას.

ნაუენი. 8 მარტი. (რადიო). შაბათის სხდომაზე რეიხსტაგმა მხარი დაუჭირა გერმანიის დელეგატებს ლონდონში და გადასწყვიტა პირველ რიგში მორალური დახმარება აღმოუჩინოს სიმონსს, რომელმაც აქედან უნდა გამოიყვანოს დასკვნა, შესაფერი კონკრეტიულ პოლიტიკურ დებულებისა და საერთო კონიუნქტურისა, არა საკუთარ კრიტიკის მხედველობაში მიუღებლათ. ამავე დროს ბერლინში ხდებოდა მთავრობისა და აგრეთვე პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროების განუწყვეტელი სხდომები. კვირა საღამოს სიმონსს გაეგზავნა საბოლოო ინსტრუქციები. შაბათისა და კვირის განმავლობაში სიმონსს მტკიცე კავშირი ჰქონდა ანტანტის წარმომადგენლებთან. ლოიდ ჯორჯი, ბრიანი და ანტანტის სხვა სახელმწიფო მოღვაწენი, თავის განზრახვის წინაამდეგ, რჩებიან ლონდონში. დღემდის შეუძლებელია ანტანტისა და გერმანიის შორის შეთანხმების გზების პოვნა, გერმანიის წინადადების შესახებ. პროგრამის სრულ განხორციელების საკითხს ადგილი არ აქვს და გერმანული დელეგაციები ცდილობენ ნაწილობრივ შეთანხმებას მაინც ამ საკითხის შესახებ, გერმანიის წინადადება არ უნდა შეიცვალოს ეკონომიურ მიზეზების გამო, პრინციპ „ბონაფიდეს" დაურღვევლად. ბრიანი კი აცხადებს, რომ პარიზის მოთხოვნილებანი არ შეიძლება შეცვლილ იქმნან პოლიტიკურ მიზეზების გამო.

მღელვარება ტრიესტში.

პარიჟი. „იკრცელოსნეკის" რომის კორესპონდენტის ცნობით ნაციონალისტებისა და კომუნისტების შორის კონფლიქტმა ტრიესტში უფრო მკაცრი ხასიათი მიიღო, ვიდრე იტალიის სხვა ქალაქებში. ნაციონალისტებმა გადასწყვიტეს მოახდინონ საწინააღმდეგო დემონსტრაცია გაზ. „ლავორატორე"-ს ბინის წინ, რომელიც (გაზეთი) არის სოციალისტების ყოფილი ორგანო. ამის შემდეგ პოლიცია შემოერტყა რედაქციის შენობას კარაბინერებით და მეფის გვარდიელებით. მაგრამ ნაციონალისტებმა გაარღვიეს მათი წრე და რედაქციის კარებამდე მივიდნენ. ამ დროს პატარა რედაქციის ფანჯრებიდან დაიწყეს სროლა. ამის შემდეგ რედაქციაში შევიდა პოლიცია, რომელმაც დააპატიმრა რედაქციის თანამშრომელნი და ასოთ-ამწყობნი, სულ 20 კაცი, რომელთა შორის არის კომუნისტების ერთი მეთაურთაგანი-ტუნტარა. ქალაქში დიდი ღელვაა. ქუჩებში პატრულები დადიან. კომუნისტებს აპატიმრებენ.

მღელვარება იტალიაში.

ტურინი. პოლიციამ აღმოაჩინა კომუნისტების იარაღის ქარხანა, ქარხანაში მზადდებოდა ტყვიისმფრქვევლები, რომელთაგან ზოგი პოლიციამ ჩაიგდო ხელში. ქარხნის ხელმძღვანელებმა და მუშების უმრავლესობამ დამალვა მოასწრო.

საბჭოთა რუსეთის პრესა

ინტელიგენცია დასავლეთში.

ჩვენში ჯერ კიდევ გრძელდება „გარდატეხა" ინტელიგენციის პსიქოლოგიაში, რომელიც (ინტელიგენცია) გაუბედავად ცდილობს დადგეს „საბჭოთა ნიადაგზე", მაგრამ ამავე დროს ყოველ წუთს იხედება წარსულის ლანდებისაკენ. ის, რაც აშინებს ახლა რუსულ ინტელიგენციას, არის ურწმუნოება მთელ ყოფა-ცხოვრების ახალ განწყობის შესაძლებლობისადმი, ურწმუნოება, რომელიც ემყარება არსებულ გაჭირვებას, ნაკლებობას, სიმშილს.

ამ მხრივ ძლიერ საყურადღებოა გადავხედოთ დასავლეთს. ევროპის ომის შემდეგ „მშვიდობიან განვითარების" ორ წელზე არამც თუ არ დამყარ[ე]ბულა სასურველი გამოცხოველება, პირიქით, ნგრევა დღითიდღე უფრო მწვავე ხასიათს იღებს და დამახასიათებელია, რომ კაპიტალიზმს არ შეუძლია უზრუნველყოფა ინტელიგენციისაც კი,—თავისი ერთგული ნოხსამსახურისა. ჩვენ უკვე აღარ ვლაპარაკობთ ავსტრიაზე. იქ ქვეყნის სამეურნეო დაშლამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. თუ მუშები მიდიან სოფლად, ყანებში მუშაობით არჩენენ თავის რჩენას, ისეთი კატეგორიები, როგორიცაა: პროფესორები, მასწავლებლობა, საზოგადოდ ქალაქის ინტელიგენცია, პირდაპირ სიმშილით იხოცებიან.

ჩვენ გვატყობინებენ შემთხვევებს, როდესაც ვენის უნივერსიტეტში პროფესორებს სიმშილისაგან გული უწუხდებოდათ. საერთო მოვლენაა—ბიბლიოთეკების გაყიდვა. ასევეა გერმანიაში, თუ ცა უფრო ნაკლები ხარისხით. წიგნების უუშვიათესი კოლექციები მიდის ამერიკაში (რომ სიმშილით არ მომკვდარიყო, გაყიდა თავისი ბიბლიოთეკა, მაგალითად, ელც ბახერმა) მეურნეობის განადგურებამ მძიმე გავლენა იქონია აგრეთვე ტეხნიკებისა და ბანკების მოსამსახურეებზე.

ფულის გაიაფებისა და კაპიტალისტურ სახელმწიფოს თანდათანობით გატარებულ ნატურალურ მარაგზე გადასვლის შეუძლებლობის დროს (ვინაიდან ასე დიდია სულ წინ მამავალი სამეურნეო და სოციალური დეზორგანიზაცია), ინტელიგენცია პირდაპირ ისპობა. აქ დიდი განსხვავებაა იმათთან შედარებით, რაც იყო ჩვენში. ჩვენში კაპიტალიზმის დროს ინტელიგენციას სრული გაღატაკება ვერ მოესწრო. იგი მთლად გაღატაკდა უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს და ამიტომ, ყველა უბედურებათ საბჭოთა რეჟიმს აწერდა. ევროპაში კი იგი სწრაფად ღარიბდებოდა ჯერ კიდევ კაპიტალიზმის დროს. ამით აიხსნება, პირველ შეხედვით, განსაცვიფრებელი ფაქტი, რომ დასავლეთ ევროპის ინტელიგენცია, საქმის ვითარებით უფრო დაკავშირებულია კაპიტალთან, ვინემ ჩვენი „ხალხის მოყვარე", „მარილი ქვეყნისა", ჰყოფს თავის წრიდან კომუნიზმის და მუშათა კლასის თანამგრძნობელთა უფრო დიდ პროცენტს. სწორედ სამეურნეო და იდეურ დაშლის ამ ფონზე, რომელიც მშვენივრად აქვს გამოხატული შპენგლერს სქელტანიან წიგნში („დასავლეთის დაღუპვა"), ინტელიგენციის დაბეჩავების და გაღატაკების ფონზე იწყება მისი გადასვლა მუშათა კლასის მხარეზე და ამ ფონზე უფრო და უფრო ხშირად ხდება აგრეთვე ფაქტები, როგორც ის, რომ **კომუნიზმს მიემხრობიან ცნობილი ფილოსოფოსი და პედაგოგი პროფ. ნატორპი, პროფ. ეილცბახერი, ასტრონომი პროფ. გრინბერგი და აგრეთვე მნათობნი თანამედროვე ლიტერატურისა, როგორც რომენ როლანი, ანრი ბარბიუსი, ანატოლ ფრანსი.** განსაკუთრებით საყურადღებოა უკანასკნელი ცნობა იმაზე, რომ ბარბიუსმა და „აკადემიკ" ფრანსმა განაცხადეს, რომ ისინი უერთდებიან ტურის კონგრესის რეზოლუციებს და III ინტერნაციონალს. აქ არის არა მარტო ნახევრად პლატონიური „თანაგრძნობა", არამედ მისი ორგანიზაციული, პარტიული განმტკიცება.

მარქსი ჯერ კიდევ „კომუნისტურ მანიფესტ"-ში სწერდა, რომ რომელიმე უწინ გაბატონებულ კლასის დამარცხების ჟამს, ამ კლასის უკეთესი ადამიანები შორდებიან მას და გადადიან უფრო პროგრესიულ კლასის მხარეზე. განა არის ამაზე უფრო თვალსაჩინო ილიუსტრაცია, ვინემ კომუნიზმის მხარეზე გადასვლა ისეთი პირებისა, როგორც ბარბიუსი და ფრანსია?

მართლაც და, საუკეთესო ადამიანები ძველი ბანაკიდან ჩვენსკენ გადმოდიან. მაგრამ განა ბევრია სრულიად რუსეთის ჩვეულებრივ ინტელიგენციის შორის „საუკეთესონი?"

ნ. ბუხარინი.

(„პრავდა" № 10, 16 იანვარი 1921 წ.)

შორისი კი—მისი ეკონომიური ორგანიზაცია.

ისე, როგორც პარტიას თავის შემადგენლობაში, განვითარების პირველ საფეხურზე, მუშათა კლასის ავანგარდათ მისგან პოლიტიკურათ შეგნებული ელემენტები, აგრეთვე „პროლეტკულტმა" უეჭველათ უნდა შეკრიბოს ავანგარდათ პროლეტარიატის კულტურული ნაწილი, ინდუსტრიალური. მიზნები ერთნაირია, მხოლოდ აქ ისინი მოქმედებენ უფრო ძლიერათ. პოლიტიკურ მიზნებისა და ლოზუნგების გამომუშავება რომ პირდაპირ დამოკიდებული იყოს პროლეტარიატის მცირე შეგნების მქონე უმრავლესობისგან, მაშინ პარტიის პოლიტიკური ხაზი განისაზღვრებოდა ამ უმრავლესობის სიმაღლით, და არ იქნებოდა კლასიურ ინტერესების და ტენდენციათა თანდათანობითი გამომხატველი, პარტია არ იქნებოდა ჭეშმარიტი ხელმძღვანელი კლასისა მის ბრძოლაში. „პროლეტკულტ"-ის კულტურულ რევოლუციონური ხაზი რომ დამოკიდებული ყოფილიყო მცირე შეგნების მქონე ფართე მასებისგან, მაშინ „პროლეტკულტ"-ს არ შეეძლო გამოეყო კულტურულ-შემოქმედებითი კლასიური პოლიცია და შეექმნა მოლიანად ახალი კულტურის წმინდა ფორმები და ტენდენციები, არ შეეძლო მასებისთვის გაეწია ჭეშმარიტი ხელმძღვანელობა, ამ სიტყვის ნამდვილი ნამდვილი მნიშვნელობით. აქედან გამომდინარეობს ზოგიერთ ორგანიზაციების განსაზღვრათ აუცილებლობა.

სხვა განსაზღვრანი გამომდინარეობენ იმ ფაქტიდან, რომ კულტურულ შემოქმედებაში თანამგრძნობთა (არა პროლეტარულ ელემენტთა) როლი ტეხნიკურათ გამოყენებულ უნდა იყოს უფრო მეტად, ვიდრე სადმე, ვინაიდან მასის კლასიური სული და ხასიათი შეიძლება დაფუძნებული იყოს კლასობრივ ყოფა-ცხოვრების პირობათა გაჭირვებულობაზე, რაც გაუკმარია გარედან მოსულთათვის.

თავის შინაგან შენებაში „პროლეტკულტი"-ს ორგანიზაცია უნდა იყოს კულტურულ კლასიურ პროლეტარულ პრინციპისა—კოლექტივიზმის კვალდაკვალობითი განახლება, ე. ი. შემოქმედებითი თანამშრომლობისა და აგრეთვე შეთანხმებული უნდა იყოს, შეძლების დაგვარად, პარალელურ ორგანიზაციათა შენებასთან, როგორც პოლიტიკურის, აგრეთვე პროფესიონალურისა.

სხვა და სხვა ქვეყნებში ორგანიზაციათა კონკრეტიული ფორმები, რასაკვირველია, სხვა და სხვა იქნება, დამოკიდებული საზოგადო სოციალურ პირობებისგან. რუსეთში „პროლეტკულტი" არსებობს სახელმწიფო ხარჯზე, დასავლეთ ევროპაში კი იგი შეიძლება დევნილი იყოს.

„პროლეტკულტი" შენდება სამრეწველო პროლეტარიატში, და მის მთავარ ბუდეთ ითვლება ფაბრიკა-ქარხნის პროლეტარიატი, შემდეგ სდგება სარაიონო, საქალაქო, სამხარეო და ცენტრალური განყოფილებები.

უშუალო მუშაობაში თვითეული ორგანიზაცია ადგილობრივ მაქსიმალურ ავტონომიით სარგებლობს: ინიციატივა და თავისუფალი შემეცნება ყოველ გვარ შემოქმედებისა.

დასავლეთ ევროპის „პროლეტკულტ"-ს წითელი სიტყვა-სიგანე რუსეთისაზე გაცილებით დაბლა სდგას. რუსეთში დიდ კულტურულ მუშაობას სახალხო განათლების კომისარიატი აწარმოებს. ამიტომ „პროლეტკულტი"-ს განსაკუთრებით შემოქმედებითი მუშაობა მიჰყავს სამეცნიერო სოციალისტურ, ტეხნიკურ-ფიზიკურ, სათეატრო და ხელოვნურ სტუდიებში და აგრეთვე „პროლეტარულ კულტურის" კლუბებში. ის ჰქმნის პროლეტარულ უნივერსიტეტებს, სამკითხველოებს, პროფესიონალურ კურსებს; მეცნიერულ-სოციალისტურ პროპაგანდას რუსეთში ასრულებს „გაზ. კომ." დასავლეთ ევროპაში ეს შევა „პროლეტკულტ"-ის მუშაობაში, მაგრამ ამ მუშაობამ არ უნდა დაარღვიოს—რევოლუციურ—კულტურულ შემოქმედების მუშაობის ძირითადი ხასიათი, ახალ კულტურის გაჩენილ ელემენტთა შეკრება ყოფა-ცხოვრების, მეცნიერების, ხელოვნების, განსახიერების, განვითარების და სისტემატიზაციის დარგში, მათ საერთო კოლექტიურ შრომის, კომუნისტურ მსოფლმხედველობაში, ორგანიულათ შედუღებულ გრძნობასთან და მოქმედებასთან.

ამ მიმართულებით მუშაობა დასავლეთ ევროპაში უფრო ძნელი და რთული იქნება, ვიდრე რუსეთში, მაგრამ ამხანაგები არავითარ დაბრკოლებათა წინაშე არ უნდა შეჩერდნენ. ჩვენ უნდა შევქმნათ საერთაშორისო „პროლეტკულტ"-ი, რათა გატარდეს ცხოვრებაში პროლეტარიატის დიქტატურა არა მარტო პოლიტიკურ-ეკონომიურ სფეროში, არამედ სულიერ-კულტურულ დარგშიაც.

მაშ, გადავძახოთ ყველა ქვეყნის ფაბრიკებსა და ქალაქებს, სადაც ყოველი დღე-დღეობით აგროვებს ასობით და ათასობით მუშებს, სადაც კომუნიზმის სამეფოს დიდებული აღმშენებელი—მუშათა კლასია: „მუშებო, ერთად „პროლეტკულტ"-ის წითელ დროშას ქვეშ!

ვალერიან პოლიანსკი. *)

---

*) სრულიად რუსეთის „პროლეტკულტ"-ის საბჭოს ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარე და „პროლეტკულტ"-ის საერთაშორისო ბიუროს მდივანი.

ქართველ სტუდენტებს.

სულ რაღაც სამიოდე წელია რაც რევოლუციის წყალობით თბილისში დაარსდა ქართული უნივერსიტეტი. მანამდე კი ჩვენი ახალგაზრდობა გაბნეული იყო რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, და, სხვა ეროვნებათა სტუდენტებთან ერთად, ეწაფებოდა და იძენდა რა წმინდა მეცნიერულ ცოდნას, ამავე დროს მედგრად იბრძოდა საუკეთესო საზოგადოებრივ იდეალებისათვის.

ამ ბრძოლაში ჩვენ სტუდენტობას უკანასკნელი ადგილი არ ეჭირა, პირიქით, იგი ყოველთვის წინა რიგებში იდგა და თავდადებით ესახურებოდა მშრომელ მასების გათვითცნობიერების საქმეს. ჩვენ უფლება გვაქვს მოველოდეთ, რომ ამ ტრადიციას ჩვენი სტუდენტობა საქართველოშიაც არ უღალატებს, არამედ მშობლიურ ქვეყნის პირობებში უფრო განამტკიცებს და გაავრცელებს.

ცნობილი ფაქტია, რომ ქართველი სტუდენტობის დიდი უმრავლესობა ჩვენი საზოგადოების ღარიბი წრეებიდანაა გამოსული. და მას, დღეს, მუშურ-გლეხურ ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ, სრული საშუალება და გასაქანი ეძლევა ახალგაზრდულ ენერგიით და სიყვარულით ჩვენს საერთო მუშაობაში და მუშათა კლასის შენებლობის გამომჟღავნების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს. ჩვენ ვიცით, რომ სტუდენტობის ნაწილს ჯერ კიდევ სავსებით ვერ გაურკვევია უცნობი თავი ერთგვარ გაუგებრობასა და ეჭვებისაგან, რაც არის შედეგი წარსულ ოცნებათა და მენშევიკების მიერ ყალბი ინფორმაციის საშუალებით შექმნილი ატმოსფეროსა. ჩვენ აქ მხედველობაში არა გვაქვს კომუნისტების სოციალურ ბრძოლის მეთოდები, რომლის წინააღმდეგ სოციალისტური ახალგაზრდობა ვერ წავა, მით უფრო, რომ კომუნისტური პარტია საქართველოში, როგორც მოსალოდნელი იყო, აწარმოებს თავისებურ, ადგილობრივ ცხოვრებასთან შეფარდებულ ტაქტიკას; ჩვენ მოგახსენებთ ეროვნულ საკითხზე. მენშევიკები პარტიულ ბატონობის და პირადი მდგომარეობის შესანარჩუნებლად ხალხის ეროვნული გრძნობით ეწეოდნენ სპეკულიაციას და კომუნისტების გამარჯვებას ისინი საზოგადოებას უსახავდნენ, როგორც ეროვნულ კულტურისა და სახელმწიფოებრივობის მოსპობას და ამ მხრივ მეფური თვითმპყრობელობის დროის დაბრუნებას. ასეთი ატმოსფეროთი მოწამლული იყო ქართველი სტუდენტობის ფსიქიკაც. ბევრისათვის უწინაც ცხადი იყო ასეთი შეხედულობის უსაფუძლობა და სიყალბე, ხოლო კომუნისტების გამარჯვების შემდეგ, ეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს. ამას საგნებით ადასტურებენ რევოლუციონურ კომიტეტის პირველი ნაბიჯებიც. მათ შორის აღსანიშნავია რევკომის განკარგულება ქართული ენის შესახებ და ამხ. შ. ელიავას სიტყვა, ხელოვნების მუშაკებისადმი მიმართული. ქართული ენის შესახებ: „პროვოკაციული ხმების უარსაყოფად ქალაქ თბილისის ყველა დაწესებულებათა საყურადღებოდ რევკომი აცხადებს, რომ საქმის წარმოება შემდეგშიაც უნდა სწარმოებდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე;" ხოლო ამხ. ელიავა გარკვევით და ხაზგასმით აცხადებს: „ჩვენი სახელმწიფო აბსოლიუტურად სუვერენულია ეროვნულ სახელმწიფოსა და კულტურულ აღმშენებლობის საქმეში. დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოში ადგილი არ ექნება კოლონიზაციასა და ძალმომრეობას. იმათ ხელები მოეკვეთება, ვინც ძველის დაბრუნებას მოინდომებს. ამ მხრივ არავის ჩარევას არ შევიწყნარებთ". ამ სიტყვებს კომენტარიები არ სჭირია. რასაკვირველია, არიან ჩვენში ელემენტები, რომელნიც ინტერნაციონალურ დროშის ნიღბით შეეცდებიან თავიანთი ზოოლოგიურ ნაციონალიზმის ინსტინქტის დაკმაყოფილებას, მათ წარმოდგენაში, შეიძლება, ძველებური ეროვნულ გაბატონების შესაძლებლობის პერსპექტივა იშლება. ასეთი ხალხი ერთგულებული გახდება სამუდამოდ ჩაჩუმების. ხოლო იმ ქართველ საზოგადოების ნაწილმა, რომელსაც უყვარს ეროვნული კულტურა და სახელმწიფო, მოყვანილ განცხადებათა და სხვა მსგავს ფაქტების შემდეგ, უნდა სძლიოს ყოველგვარი გაუგებრობა და უნდობლობა. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ქართველი სტუდენტობაც შეიგნებს საქმის ჭეშმარიტ ვითარებას, ფხიზლად შეაფასებს მომენტს და, საბჭოთა ხელისუფლებასთან ხელი ხელ ჩაკიდებული, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ახალ ეროვნულ და სოციალისტურ აღმშენებლობაში.

კ. ნ.

ქრონიკა

ნავთის ნაწარმი საქართველოსათვის. ბაქოდან თბილისში გამოგზავნილია 200 ცისტერნა ნავთი და გაცემულია სათანადო განკარგულება, რათა ნავთი რეგულიარულად იგზავნებოდეს საქართველოში, სათანადო მაღალით მის უზრუნველსაყოფად.

— **გორისკომის დადგენილება.** გორისკომის დადგენილებით სასტიკად ეკრძალებათ ყველას საზ. ნივთ. ნ-ეთების ერთი სახლიდან მეორეში გადატანა.

— **ხარუქ რიგ საქართველოს რევკომს.** 11 პოლკომდამიძია იუწყება, რომ

თბილისის სადგურზე მე-11 წითელ ლაშქრისაგან მოვიდა 33 ვაგონი ხორბალი საქართველოს რევკომის საჩუქრად. ხორბალი გადაეცა საქართველოს ნარკომპროდის განკარგულებაში, ქ. თბილისის ღარიბეს მცხოვრებთა და მუშათა შორის გასანაწილებლად

◆ **პურის გამნაწილებელი პუნქტების გამრავლება.** გორევკომმა მისწერა გუბპროდკომს დაუყონებლივ გამრავლებულ იქმნას რიცხვი პურის გამნაწილებელ პუნქტებისა.

◆ **სამუშაოდ რუსეთში.** საინიციატივო ჯგუფი რუს ამხანაგთა საყურადღებოთ აცხადებს, იმ პირთ, რომელთაც სურთ გადასახლდნენ რუსეთში, სარატოვისა და სამარის რაიონებში, უნდა ჩაეწერონ ახლად შემდგარ კოლექტივში. კოლექტივში ჩაწერა შეუძლიათ მხოლოდ შრომის უნარის მქონეთ, ფიზიკურად ჯანსაღთ, არა უმეტეს 40 წლისას. ჩაწერა სწარმოებს ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში საღამოს 5 6 საათამდე.

◆ **სიმებიანი კვარტეტი.** თფილისში დაარსდა სიმებიანი კვარტეტი ი. ი. ფიშბერგის მეთაურობით. კვარტეტში შედიან ლ. სტუპელი, ნ. ფლორინსკი და მ. წოვიანოვი. ყველა კვარტეტის კრებას წინ წაუძღვება სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებელ ჩემოდანოვის შესავალი სიტყვა.

◆ **სახალხო სახლში.** სახალხო სახლში მუშაობს 10 სექცია: ქართული, რუსული, უკრაინული, სომხური, ოსური ასირიული, მუსულმანური, გერმანული, ებრაელური. თითეული სექცია მუშაობს ავტონომიურად. ამჟამად არჩეულია კომიტეტი სახელწოდებით ხუთიანი, სადაც შედიან ზოგი სექციის წარმომადგენელნი. სახალხო სახლში სდგება მუშებისათვის რეპერტუარი, სპეციალურად კლასიკური და რევოლიუციონური. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს მუსიკალურ სექციას, რომელიც დიდი ყურადღებით ეპყრობა ოპერების დადგმას ქართულ და რუსულ ენებზე. სახალხო სახლში მოთავსებულია დიდი სამეცნიერო წიგნთსაცავი და სამკითხველო. სახალხო სახლის მთელი ყურადღება მიქცეულია განათლების საქმეზე და, ამ მიზნით ბილეთების ფასები დადგენილია 5—50 მან. ამასთანავე პროფ. კავშირებსა და მუშებს მიეცემათ უფასოდ ბილეთების მესამედი. ყველა სექციებისათვის წარმოდგენის დღეები განაწილებულია მთელ სეზონზე.

— თეატრ „სატირ-აგიტ"-ის გახსნა მოხდება რუსეთის რევოლიუციის მე 4 წლის თავზე 12 მარტს.

— „სატირ-აგიტ"-ის გახსნის დღეს შესრულებულ იქნება თავისუფალ საქართველოს ჰიმნი ქართულ, რუსულ ენებზე, რევოლიუციის გმირთა ჰიმნი, შრომის სასახლე, (მუსიკა პომერისა) თავისუფალ საქართველოს ცეკვა, რევოლიუციის ცეკვა და სხვა. ბილეთებს გაანაწილებს გრუკავროსტის სათეატრო განყოფილება, სადაც უნდა მიმართონ ყველა რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა და პროფ. კავშირებმა.

◆ **სოციალურ დახმარების საქმეთა რეორგანიზაცია.** ქალაქის გამგეობის სოციალურ დახმარების განყოფილებამ წარუდგინა გორევკომს წერილობითი მოხსენება განყოფილების მახლობელ მიზნების შესახებ, რომლითაც წინადადებას იძლევა: 1) გადაიბარონ და დაემორჩილოს განყოფილებას ქალაქის ყველა მზრუნველობის სახლები, იმის მიუხედავად, თუ რომელ ორგანიზაციას ეკუთვნიან ისინი. ქალაქში არსებობს 13 ბავშვთა სახლი, 7 ინვალიდთათვის, ბრმათა თავშესაფარი და ღამის გასათევი სახლი, 2) ჩამოშორდეს განყოფილებას ყველა დაწესებულება, რომელიც არ მისდევს სოციალურ დახმარების მიზანს, როგორიც არიან: ქალაქის 5 სასადილო, 8 სახელოსნო, კინო-თეატრები და ქალაქის სახელოსნოს ნამუშევრით მოვაჭრე ბუდკები, რომლებიც უნდა გადაეცეს ქალაქის გამგეობის სათანადო განყოფილებას. სოციალ. დახმარება თავის მახლობელ მიზნათ ისახავს: 1) აღირიცხოს ქალაქის სოციალურ დახმარების ყველა დაწესებულებები და მასში მყოფი ყველა სამზრუნველო პირები, მოსამსახურენი, ინვენტარი, ფული და სურსათი, 2) სოციალურ დახმარების ყველა დაწესებულებათა ადმინისტრატიულ, სამეურნეო და სხვა მხრივ დაქვემდებარეობა სოციალურ განყოფილებისადმი და ყველა სხვა ორგანიზაციების და დაწესებულებების გამგებლობიდან მათი განთავისუფლება, 3) კატეგორიებად დაყოფა და განაწილება ბავშვების და ინვალიდებისა, მათთვის შესაფერ სახლებში, ბავშვების წლოვანების და, ინვალიდების შრომის უნარის მიხედვით, 4) მიწოდება ყველა ხალხებისთვის სურსათის და მათ შესანახ საშუალების, შედგენა და განაწილება საერთო შტატის და ხარჯთ-აღრიცხვა. 5) ყველა ქუჩის მთხოვართა გამოკვლევა 6 უფასო სადილის მიცემა და სხვა.

პარტიული ცხოვრება

დუშეთის მაზრაში.

მას შემდეგ რაც საქართველოს მშრომელი ხალხი ეღირსა მენშევიკურ ჯალათუნა მთავრობისაგან განთავისუფლებას, კომუნისტური პარტიაც ეღირსა ბნელ ჯურღმულებიდან მზის სინათლეზედ გამოსვლას და ძველებურათ შეუდგა დანგრეული ორგანიზაციების აღდგენას. როგორც სხვა მაზრებში აქაც თბილისიდან ჩამოვიდნენ პარტიული ამხ. ცენტრ. კომ. მიერ გამოგზავნილნი, რომლებმაც პირველი საჯარო მიტინგი მოიწვიეს ქ. დუშეთში 4 მარტს, სადაც აუარებელი ხალხი დაესწრო. სხვათა შორის მიტინგზე გამოვიდა სოციალისტ-ფედერალისტების წარმომადგენელიც. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია: მილოცვა საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცეკას, საქართველოს ს. ს. რესპუბლ. რევკომს და წითელ ჯარს, რომელმაც იხსნა ქართველი მშრომელი ხალხის მონობისაგან.

გ. ლაფანაშვილი.

ორშაბათს 7 მარტს შესდგა მე-10 იაჩეიკის კრება. დღის წესრიგი: 1) მოხსენება მომენტზედ; 2) ორგანიზაციული კითხვები; 3) სამხედრო შტაბის შესახებ.

მოისმინა რა კრებამ მოხსენება ამხ. გ. დონაძისა, რომელმაც აღნიშნა ის პირობები, რომელიც აუცილებელია ჩვენი მუშურ გლეხური რეჟიმის გასამტკიცებლად და ჩვენი პოლიტიკური გეზის გასატარებლად, სახელდობრ: 1) შექმნა ჩვენი საკუთარი წითელი არმიის, რომელსაც დაეყრდნობა რევოლიუციონური მთავრობა და რომელიც დაიცავს საქართველოს, როგორც გარეშე, აგრეთვე შინაურ მტერთაგან, 2) შექმნა მძლავრი კომუნისტურ პარტიულ ორგანიზაციის, რომელიც მენშევიკების მიერ რამდენჯერმე განადგურებულია, და 3) სამეურნეო ფრონტის განმტკიცება, რაც აუცილებელი პირობაა სახელმწიფოს არსებობისათვის,—კრება ერთხმად იზიარებს ყოველივე ზემოთ-ხსენებულს და აღთქმას სდებს, რომ შეეცდება უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოლოს, როგორც იდეურად, აგრეთვე თუ ამის მდგომარეობა მოითხოვს, ფიზიკურადაც ყოველივე ამის ცხოვრებაში გასატარებლად. კრება ესალმება საქართველოს რევოლიუციონურ მთავრობას და უსურვებს მას სრულ პარტიის მიერ განადგურებულ მიტოვებულ საქართველოს ნანგრევებზე ახალ საქართველოს შენებაში შეურიგებელი ბრძოლა ცრუ სოციალისტებს, რენეგატ-ოპორტუნისტებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს. სამუდამო ხსოვნა თავისუფლებისათვის ომში დაღუპულ ამხანაგებს.

2) იქონია კრებამ რა მსჯელობა სამხედრო შტაბის წევრთა ვარჯიშობის შესახებ, რომელნიც ჯერ ჯერობით, სანამ წითელი არმია ჯერ კიდევ არ გვყავს, დიდ როლს შეასრულებს სამხედრო ძალის შექმნაში, ერთხმად დაადგინა: აწარმოონ ვარჯიშობა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 8 საათამდე, რისთვისაც მოწვეულ იქმნან საუკეთესო სპეციალისტები.

კრების თავმჯდომარე: ხუხუკალაშვილი, მდივანი: მ. ჟუნგიაძე.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ეკატერინოფელდის და შულავერის ორგანიზაციათა საერთო კრებაზე გამოტანილი რეზოლიუცია ამხ. კალოსანიძის მოხსენების გამო მიმდინარე მომენტისა და პარტიის მიზნების შესახებ:

1917 წ. 25 ოქტომბერს რუსეთის მუშათა და გლეხთა რევოლიუციონურმა მისწრაფებამ კომუნისტურ პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით საბოლოვოთ მოსპო კაპიტალიზმი. ოქტომბრის რევოლიუციის სრბოლამ საქართველომდე მოაღწია, დედა მიწის ზურგიდან აღგავა ჟორდანიას ცრუ სოციალისტურ-„დემოკრატიული" მთავრობა. მენშევიკთა პარტიამ და მასთან მე-2 ყვითელ ინტერნაციონალმა განიცადა მორიგი დამარცხება და კრახი.

პროლეტართა რევოლიუცია და კლასობრივი ბრძოლა მთელ ქვეყანაზე ხდებოდა და შეუძლია მოხდეს მარტო მე-3-ე კომუნისტურ ინტერნაციონალის საერთაშორისო აჯანყების შტაბისა და პროლეტარულ რევოლიუციის ავანგარდის—კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით.

საქართველოზე გადაიარა ოქტომბერმა და მშრომელებმა განახორციელეს რა თავის ზრახვანი, დაამყარეს საბჭოთა მთავრობა კომპარტიის ხელმძღვანელობით.

იღებს რა მხედველობაში მომენტის პასუხისმგებლობას და ახლო დროის იმ მიზნებს, რომელიც სდგას კომპარტიისა და საქართველოს საბჭოთა მთავრობის წინაშე, ეკატერინოფელდის და შულავერის კომუნისტურ ორგანიზაციათა წევრთა საერთო კრება, იღებს რა მხედველობაში აგრეთვე ადგილობრივ ხასიათის პირობებს, უახლოეს დროისთვის საჭიროთ სთვლის გატარებულ იყოს შემდეგი: 1) ფართე აგიტაცია და პროპაგანდა, რომელიც მიმართული იქნება ვითომდა ადგილობრივ სომეხთა და მაჰმადიანთა შორის არსებულ გამწვავებულ ყალბ ეროვნულ შუღლის შესახებ გავრცელებულ ხმების გაფანტვისკენ, რისთვის გამოყენებული იყოს პარტიაში მყოფი საუკეთესო ძალები, 2) საჭიროა ახსნა-განმარტება მომხდარ გადატრიალების და ახალი მთავრობის გამაგრების მიზანი, კომპარტიის გარშემო მშრომელთა თავის მოყრა, რათა პროვოკაციულ ელემენტებს და საბჭოთა მთავრობისადმი მტრულად განწყობილ პირთ შეძლება არ მიეცეთ დაიპყრონ მასა და ნდობა დაუკარგონ საბჭოთა მთავრობას და პარტიას, 3) ყველა პრინციპიალურ საკითხებში საჭიროა მეტის ყურადღებით ცენტრის მოსმენა და შესაფერ დარიგებათა და დირექტივებისა და სანქციის გარეშე ცხოვრებაში არ უნდა იყოს დამოუკიდებლათ გადადგმული ნაბიჯი, რომელსაც ექნება სახელმწიფო პრინციპიალური მნიშვნელობა და 4) სასტიკი თვალყურის დევნებაა საჭირო იმაზე, რომ ამხანაგებმა თავისი გაუფრთხილებელი ნაბიჯებით, ახალი აღმშენებლობის შესახებ უტაქტიკო საკითხებით არ დაუკარგონ პარტიას და მთავრობას ავტორიტეტი და მათ არ გამოაცალონ მასა.

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს სახალხთაშორისო კომუნისტურ რევოლიუციას.

გაუმარჯოს მე-III ინტერნაციონალს.

კრების თავმჯდომარე (ხელმოწერილია) მდივანი (ხელმოწერილია).

მიტინგი ავჭალაში.

5 მარტს ავჭალაში შემდგარ მრავალრიცხოვანი მიტინგზე შემდეგი რეზოლიუცია იქნა გამოტანილი.

მრავალ-რიცხოვანმა მიტინგმა ავჭალის რაიონისამ, მოისმინა რა ცეკას წარმომადგენელთა მოხსენება, დაადგინა: გაეგზავნოს მხურვალე სალამი წითელ არმიელებს, რომლებსაც მოაქვთ მთელ საქართველოს მშრომელთა პროლეტარიატისთვის თავისუფლება. სალამი საქართველოს კომუნისტურ მთავრობას! ჩვენ ფიცსა ვდებთ, რომ მთელი ენერგია და მოქმედება მიმართული იქნება ჩვენი ძალა-უფლების, მუშათა საბჭოების გასამაგრებლად და გასამტკიცებლად: გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს და მის საამაყო გმირებს წითელ-არმიელებს?!

მუშათა ცხოვრება

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კრება.

ამხ. დუმბაძეს თავმჯდომარეობით შესდგა ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. არმიის წარმომადგენელმა ამხ. პავლოვსკიმ კრებას სიტყვით მიმართა სადაც მან აღნიშნა, საბჭოთა რუსეთს არავისთან ომი არ სურდა და არც სურს. იგი საქართველოში მოვიდა აჯანყებულ ხალხის საშველად. მენშევიკურ მთავრობამ არ შეასრულა რუსეთთან დადებული საზავო ხელშეკრულობა. ორატორი შემდეგ ლაპარაკობდა წითელ არმიის მნიშვნელობაზე და საბჭოთა აღმშენებლობაზე საქართველოში. ამხ. დუმბაძემ თავისი სიტყვაში ყველა ქართველ მოქალაქეს მოუწოდა ერთსულოვან მუშაობისკენ საქართველოს სოციალისტურ წესწყობილობის განსახორციელებლად. შემდეგ ილაპარაკა ამხ. ყურულაშვილმა. ორატორმა ხაზი გაუსვა პროფ. კავშირების მოქმედებას და აღნიშნა, რომ პროფ. კავშირებმა ყურადღება უნდა მიაქციონ არა მარტო მუშათა ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესობას, არამედ მათ ხელი უნდა შეუწყონ სახელმწიფოს აღმაშენებლობის საქმეში. შემდეგ მომენტის შესახებ ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც, რომლის შემდეგ კრებამ ცენტრალურ დროებითი კომიტეტის წევრთა კანდიდატების სია გამოაქვეყნა. კომიტეტში შედიან; 8 კომუნისტი და 3 არა კომუნისტი. მოხსენებების შემდეგ კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა: მოსკოვს, აზერბეიჯანს და სომხეთს.

ტრამვაის მუშათა შორის.

ქალ. ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა პროფ. კავშირის გამგეობამ დაადგინა: მიეცეს 1 თებერვლიდან ჯამაგირები და აღუდგინონ პურის მიწოდება იმ პირთ, ვინც დაპატიმრებულნი იყვნენ პოლიტიკურ დანაშაულობის გამო. მობილიზაციაში მოყოლილთ მიეცეთ ჯამაგირების 50% და მათ ოჯახის წევრებს კი ეძლეოდეს პური. იმ გვარდიელებს, რომელთაც თავი გაანებეს არმიას და თავის სამუშაოს დაუბრუნდნენ, ჯამაგირები მიეცეთ სრულად. პური არ მიეცეს იმ გვარდიელების ოჯახის წევრებს, რომელთაც უკან დახეულ არმიასთან არიან. ვინც არ გამოცხადდა სამსახურში დროზე, მათ უნდა წარმოადგინონ მოწმობა იმის შესახებ, რომ ისინი არ ყოფილან გვარდიაში, ან ავადმყოფობის გამო დაუგვიანდათ სამსახურში გამოცხადება. ავადმყოფ გვარდიელების გვარების გამოსარკვევად, რომელნიც ამჟამად სამსახურში არ იმყოფებიან, დანიშნულია განსაკუთრებული კომისია.

ყოფილ სამხედრო-საფეხსაცმელო სახელოსნოში მომუშავე მეტყავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა საერთო კრებაზე გამოტანილი რეზოლიუცია მომენტის შესახებ:

ჩვენ, სამხედრო-საფეხსაცმელო სახელოსნოს მუშები, განთავისუფლებული მენშევიკურ—ბურჟუაზიულ მთავრობისგან, გულითად სალამს ვუძღვნით პროლეტარიატის გამარჯვებას და საბჭოთა მთავრობას, ვუსურვებთ წარმატებას პროლეტართა დიდებულ ბელადს ამხ. ლენინს, ფიცსა ვდებთ დავეხმაროთ მას მუშა—გლეხკაცობის დამმონავებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ყველა ჩვენი ძალები გამოვიყენოთ წითელ არმიის სასარგებლოთ ნაყოფიერ მუშაობისთვის.

გაუმარჯოს განმათავისუფლებელ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ხალხთა ძმობას და მთელი ქვეყნის მშრომელთ!

გაუმარჯოს მე-3-ე ინტერნაციონალს!

კახეთის რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებამ, მოისმინა რა მოხსენებები ამხ. გ. მჟავანაძის და არჩვაძის—მიმდინარე მომენტზე და ეკონომიურ პირობებზე, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია. საერთო კრება აღტაცებით ეგებება საქართველოს მშრომელთა რევოლიუციას, თვითეულ ჩვენგანი თავის ძალღონეს არ დაზოგავს მუშათა რევოლიუციის გასამაგრებლად.

გაუმარჯოს საქართველოს რევოლიუციონურ მთავრობას.

საქართვ. სოც. რევოლიუციის მესამე კომ. ინტერნაციონალს.

სარედაქციო კოლეგია

დაიკარგა

6 მარტს ბაქო-თბილისის გზაზე მომავალმა: ბაქოს ცეკას ბიუროდან მიღებული მანდატი საქართველოს რევკომის განკარგულებაში ჩემ მოვლინებაზე, პარტიული მანდატი ქალაქის რევკომისგან და სხვა მოწმობები. გთხოვთ გაუქმებულად ჩაითვალოს.

ასტღიკ (ასია) სეროპიანი.

დაიკარგა

6 მარტს, საღამოს რვა საათზე სოფულ-პირადობის მოწმობა, ტრამვაის უფასო წიგნაკი და სხვა მოწმობები მიხეილ მათიაშვილის სახელზე. გთხოვთ გაუქმებულათ ჩასთვალოთ.

დაიკარგა

უვადო ბაშფორთი ა/წ. 22 თებერვალს ქ. თფილისში. მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: სამრეცხველოს შესახვევი, № 21, ფარნაოზ ასლანის ძე კეკნაძეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პასპორტს გაუქმებულად ვაცხადებ

განცხადებანი

საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ყოფილ „ევროპიულ სასტუმროს" შენობაში
(რუსთაველის პრ. № 25. დილა 9-დან—3 საათამდის).

აფთიაქის პატრონების და გამგეთა საყურადღებოდ ცხადდება, რომ 10 მარტს, საღამოს 6 საათზე, ყოფილ ჯანმთელობის დეპარტამენტის შენობაში შესდგება

თათბირი

მედიკამენტების გაცემის საკითხის მოსაწესრიგებლად.

გორრევკომი.

სასადილოთა კავშირის გამგეობა

წევრთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ საჭიროა

მათი გამოცხადება სარეგისტრაციოდ,

ვინაიდან პირველად არ იყო წევრთა ოჯახური მდგომარეობის აღრიცხვა. ვინც არ გამოცხადდება, მათ პურის ულუფა მოესპობათ. სარეგისტრაციო დრო დანიშნულია დილის 10—2 და საღამოს 6—8 საათამდის.

თავმჯდომარე გამგეობისა ხუხუკალაშვილი.

გაზ. „კომუნისტი"-ს
მიღება შეიძლება გრუკავროსტას ცენტრალურ ექსპედიციაში, (რუსთაველის პრ. № 11).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის [illegible] № 4